№ 55

კვირა, 12 მარტი 1895

1877—1895

# ივერია

**გაზეთი ღირს:**

| თვე | მან. კ. | თვე | მან. კ. |
|---|---|---|---|
| 12 . . . | 10 — | 6 . . . | 6 — |
| 11 . . . | 9 50 | 5 . . . | 5 50 |
| 10 . . . | 8 75 | 4 . . . | 4 75 |
| 9 . . . | 8 — | 3 . . . | 3 50 |
| 8 . . . | 7 25 | 2 . . . | 2 75 |
| 7 . . . | 6 50 | 1 . . . | 1 50 |

ცალკე ნომერი—ერთი შაური.

„ივერიის“ ტელეფონი № 227.

№ 55

კვირა, 12 მარტი 1895

რედაქცია:
ნიკოლოოზის ქუჩა, 21.
ტფილისი.

**გაზეთის დასაბარებლად**
და განცხადებათა დასაბეჭდად
უნდა მიჰმართონ რედაქციის და წერა-კითხვის გამავრც. საზოგადოების კანცელარიას.

**ფასი განცხადებისა:**
ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზედ—16 კაპ. მეოთხეზედ—8 კაპ.

„ივერიის“ ტელეფონი № 227

**თავადი კონსტანტინე ივანეს ძე ბაგრატიონ-მუხრან ბატონი და მეუღლე მისი კნეინა ელისაბედ ნიკოლოზის ასული ბაგრატიონ-მუხრან ბატონისა** გულითადის მწუხარებით იუწყებიან გარდაცვალებასა

**თავადის ივანე კონსტანტინეს ძის ბაგრატიონ-მუხრან-ბატონისას.**

განსვენებულმა განუტევა სული 11 მარტს, დილის 6 საათზედ. პანაშვიდი იქნება გარდახდილი ყოველ-დღე დილის 12 სა და საღამოს 7 საათზედ. (2—6.—1)

ტფილისის ქალაქის გამგეობა და კომისია, რომელიც არჩეული ტფილისის ქალაქის მოურავის განსვენებულის **პავლე ალექსანდრეს ძის იზმაილოვის** დასაფლავების განმკარგულებლად, აცხადებს საყოველთაოდ, რომ 12 ამ მარტს, ნაშუადღევს $1^1/_2$ საათზედ ვანქის ტაძარში გადახდილ იქნება პანაშვიდი განსვენებულის სულის მოსახსენებლად. (2—6.—2)

მარტის 3-ს გარდაიცვალა ქ. ქუთაისში ახალგაზდა
**ნესტორ მახარობლის ძე სიხარულიძე,**
წაასვენეს გურიას, თავისს სამშობლოში, 4 ს მარტს. ნათესავნი, ნაცნობნი და პატივის-მცემელნი განსვენებულისა იქნებიან მიწვეულნი ორმოცზედ. (1—.—1)

სათავად-აზნაურო ბანკის თეატრში
**ქართული ხორო**
არტისტ ი. ი. რატილის ლოტბარობით კვირას, 12 მარტს, გაჰმართავს
**კონცერტს**
ორ განყოფილებად. ხორო შეასრულებს სრულებით ახალს ხმებს საქართველოს სხვა-და-სხვა ადგილებში შეკრებილს. მესამე განყოფილებად იქნება წარმოდგენილი ერთ-მოქმედებიანი კომედია
აყალ-მაყალი ცოლ-ქმარ შუა,
რომელშიაც მონაწილეობას მიიღებენ: ქნი საფაროვ-აბაშიძისა, ბ ნნი: ვ. აბაშიძე დ გედევანიშვილი.
დასაწყისი $8^1/_2$ საათზედ
ადგილების ფასი ჩვეულებრივია.

ოთხშაბათს, 15 მარტს, საღამოს 7 საათზედ, სათავად-აზნაურო ბანკის სადგომში მოხდება საზოგადო კრება ტფილისის სამეურნეო საურთიერთო საკრედიტო საზოგადოების საზოგადო კრება არის დანიშნული, რომელზედაც, თანხმად დამტკიცებულის წესდებისა, უნდა გარდასწყდეს სხვა-და-სხვა საგნები შესახებ საზოგადოების ორგანიზაციისა, რისთვისაც მოწვეულ არიან საზოგადოების დამფუძნებელნი. (3—უ.—1)

ქართული თეატრი.
ოთხშაბათს, 15 მარტს, 1895 წ.
„ქართულის თეატრის არტისტებისაგან“, ქქ. ავალიშვილისა, მელიქიშვილისა, ჩერქეზიშვილისა, რჩეულიშვილისა; ბბ. აბაშიძისა და ალექსეევ-მესხიშვილის მონაწილეობით წარმოდგენილი იქნება:
**დანაშაული და სასჯელი**
დრამა 5 მოქ., თარგ. ვ. აბაშიძისა.
მოთამაშენი: ქქ. ავალიშვილისა, მელიქიშვილისა, ჩერქეზიშვილისა, რჩეულიშვილისა; ბბ. აბაშიძე, ალექსიევ-მესხიშვილი, გედევანოვი, გუნია, სვიმონიძე, შათირიშვილი, კანდელაკი, მჭედლიშვილი, საფაროვი, კარბელი, თამაზოვი და სხვანი.
ადგილების ფასი ჩვეულებრივია.
დასაწყისი სწორედ 8 საათზედ
ადმინისტრატორი ვ. გუნია.
რეჟისორი ვლ. ალექსიევ-მესხიშვილი.

კვირას, 12 მარტს 1895 წ.
**ძმათა ნიკიტინების ცირკში**
ჩვენის დროის პირველი თვალთ-მაქცი ნ. ა. კოზლოვი დიდსა და არაჩვეულებრივს წარმოდგენას გაჰმართავს 20 უფასო საჩუქრებით, რომლებიც შესდგებიან ოქროსა, ვერცხლისა და წვრილ სხვა-და სხვა ლამაზ ნივთებისაგან. უმთავრესს საჩუქარს შეადგენს ინგლისური ჯიბის საათი.
საჩუქრებს გაწვრთნილი მტრედები გადასცემენ მოგებულებს. თითოეული ბილეთის მყიდველი ბილეთთან ერთად საჩუქრების კონტრამარკასაც მიიღებს.
წარმოდგენა დაიწყება 8 საათზედ.
ბილეთების ფასი დაკლებულია და შეიძლება ცირკისავე კასაში მიიღონ მსურველთ. (2—უ.—2)

**კაბინეტი კბილის ექიმთა**
**ვ. ი. ჯიჯინაძისა და ქ-ნის ძს დ. ილარიონოვისა.**
მიხეილ. ქუჩა, სახლი კრაუზესი, 79.
ავადმყოფებს მიიღებენ დილის 9—3 და საღამოს 4—7 საათამდე.

ტფილისი, 12 მარტი.

ამ ჟამად გერმანიაში დიდი ბრძოლა და შეტაკებაა რეაქციისა და პროგრესის მომხრეთა შორის. ეს ბრძოლა გამოიწვია მთავრობის ერთმა კანონ-პროექტმა, რომელსაც გერმანიაში მოკლედ უწოდეს „Umsturz“.

როდესაც დასავლეთს ევროპაში ანარხისტების მოძრაობა და მოქმედება გაძლიერდა, ზოგიერთ სახელმწიფოთა დაშინებულ მთავრობამ და პარლამენტმა საგანგებო კანონები შეიმუშავეს ანარხისტებთან საბრძოლველად. თავდა-პირველად საფრანგეთი, სადაც ანარხიზმმა უფრო იჩინა თავი და სადაც სახელმწიფოს პირველი კაცი იქმნა მოკლული, დაადგა ამ გზას. საფრანგეთს მალე წაჰბაძა იტალიამ და თვით თავისუფლების მოყვარე შვეიცარიამაც. გერმანიის მთავრობამ ისარგებლა ამ დროთი და განიზრახა თავისის მხრითაც შეემუშავა რეაქციონური კანონ-პროექტი. „დროთი ისარგებლა“, ვამბობთ იმიტომ, რომ გერმანიის მთავრობას სრულიად სხვა საგანი აქვს სახეში, როდესაც ამ გზას ჰსურს დაადგეს. გერმანული სისხლის სამართალი ისედაც სრულია, უიმისოდაც საკმაო საშუალებას და იარაღს აძლევს მთავრობას ანარხისტებთან საბრძოლველად, ხოლო თუ მთავრობამ

## ფელეტონი

**ბუდდას მერცხალი.**

(კოპპედამ. თავისუფალი თარგმანი).

I

როდესაც ბუდდას წმიდა მოღვრების
უკვდავმა მცნებამ, მიუწდომელმა
გზა გაიკაფა, ტახტი მეფობის
ციურს სინათლეს ჰაუთმო ბნელმა;
როდესაც ჩანგმა სიყვარულისამ
შეწყობით, ტკბილად დაიწყო ჟღერა,
ურთიერთობამ, კაცთ-მოყვარებამ
გული განსწმინდა და აამღერა;
როდესაც ერმა თვისს არსებობის
უმჯობესს საგანს შუქი მიჰფინა
და ღლიურს ზრუნვას უაღრესს გრძნობის
დიდი ლამპარი წარუძღვა წინა,—
ბუდდა დასახლდა უდაბნოსა ბნელს.
სცხოვრებდა მარტო, განყენებულად,
განუდგა ქვეყნის შფოთს დაულეველს
და დავიწყებას მიეცა სრულად.
სჯულის მდებელად მოვლინებული
ცის მოციქული, ქვეყნად აღზრდილი,
თითქოს რომ მკვდარი—სულგანაბული
ცას შესცქეროდა ხელ აღპყრობილი.
და რა მოშორდა ქვეყნის ცხოვრებას—
იგრძნო სიამე იმ ალტაცების,
რაც უმანკო სულს, უკვდავს არსებას
ზე-შთაგონებით მოევლინების!..

II

განდეგილს დროთ სვლა დაჰვიწყებოდა;
ალარც სამხრეთის მზე უთბობდა გულს...
სურო და ვაზი შემოჰხვევოდა,
მისს წმიდა სხეულს, მთლად დასუსტებულს;
შემოჰხვევოდნენ ვარდ-ყვავილები
გრძნობის წარმტაცად, შემპყრობელადა,
მზისა და მთვარის ნაზი სხივები
გვირგვინს უწნავდნენ, უდგენ მცველადა.
უდაბნო იგი იტაცებდა თვალს,
მოძღვარი იგი—გონებას და გულს,
ორივე ერთად—ნეტარების ძალს
ასურათებდნენ, ცით მოვლინებულს!..
მალხაზთა ფრინველთ გუნდსა მომღერალს
შეჰყვარებოდა განყენებული,
უმღერ-უსტვენდა და ტკბილ ჰანგთა ხმას
ისმენდა არე სულ-განაბული.
და რომ წმიდანი ხანგრძლივსა მარხვას
არ დაეძლია—არ მომკვდარიყო;
ფრთებსა გაჰკრავდენ ცისა კამარას,
სადაც რომ უნდა-კი ყოფილიყო,
მოიპოვებდენ მშვენიერს ხეხილს,
წამოიღებდნენ ალტაცებითა
და უძრავ ბაგეთ, ლოცვის აღბეჭდილს,
საზრდოდ აწვდენდნენ უცხო ხმებითა,
თვით ნადირთ გროვა გაფთრებული,
იმ წმიდა ალაგს რა მივიდოდა,
დიდის მოძღვრის წინ სულ-განაბული
თავს მოჰხრიდა და დამშვიდდებოდა!.

III

ასე, ამგვარად, დღენი და წელნი
ერთი მეორეს სდევდენ და სდევდენ
და შორს წარსულნი საუკუნენი
მათ ხელს უწვდიდენ და იკიდლებდნენ...
თუმცა ლამაზად მნათობი დღისა
ბევრჯელ სამყაროს სხივებით ჰრთავდა,
თუმცა ნათელი მკრთალის მთვარისა
ნეტარებას და სიამეს ჰრგავდა;
თუმცა ყვავილნი იტაცებდენ თვალს,
ფრინველთ ჭიკ-ჭიკი—გულსა და ენას,
თუმცა ცხოვრება მიუწდომელს ძალს
შეხარბდებოდა და თვითონ ზენას,—
მაგრამ ბუდდას გულს, იმისს ძლიერს სულს
ვერ იტაცებდა ესე ყოველი,
იმისს ოცნებას, აწ განყენებულს
სულ სხვაგან ჰქონდა ნავთ-საყუდელი:
მას მხოლოდ მხარეს საოცნებოსა
სწამდა თვით მადლი და ნეტარება
და აქ, ამ ცოდვის სამეუფოსა,
მისთვის არ იყო ბედნიერება;
იმან უარ-ჰყო სრულად სოფელი
მას შემდეგ, რაც ხალხს მან გზა უჩვენა,
ცრემლი და კვნესა გულის მომწყვლელი
დაჰგმო, დასწყევლა და შეაჩვენა!..
იდგა და იგდგა უხმოდ, უძრავად,
ვითა ქანდაკი ქვის, ხორც-უსხმელი,
და ამ სახითა ცის სადიდებლად
დიდებულს მოძღვარს აღეპყრა ხელი..

IV

ერთჯერ სჯულ მდებლის აღპყრობილს ხელში
მერცხალმა ჩადგა ბუდე პატარა.
(ჩრდილოეთიდამ თბილსა სამხრეთში
მოფრინდა, ზამთარს გამოეპარა).
მაგრამ თვით ამან ნეტარის ბრძენის
უსულთქმო ყოფა ვერ გამოსცვალა,
რადგან მოძღვარმა ავ კარგი ქვეყნის
ოცნების მხარეს დაანაცვალა...
ყოველწლივ როგორც ცივი ზამთარი
ჩრდილოეთს სუსხით ევლინებოდა,
გულს უწყლულებდა, ყინვის საფარი
საკვნესად გულზედ ეკონებოდა,—
ნაზი მერცხალი შორის ზღვებს და მთებს
მიატოვებდა თოვლით დატვირთულს,
თავისს სამშობლოს ჰპოებდა—სამხრეთს
და იქ ელოდა ჩრდილოს გაზაფხულს...

V

ჰიმალაის მთის დიადს მწვერვალებს
ამკობდა თოვლი, ყინვის გვირგვინი,
თეთრის ზოლივით ლაჟვარდს ცის სივრცეს
შორად გაჰკვროდენ მწკრივად იგინი...
დიდი ხანია—უნდა სწვევოდა
ჩრდილოეთიდგან სამხრეთს მერცხალი,
ჩვეულებრივად ბუდე ელოდა,
მცველად და მსხნელად—ღვთაების ძალი,
მაგრამ ერთს სდევდა მეორე წელი,
მთვარე მზეს სცვლიდა და მზე-კი მთვარეს,
აღარ მოფრინდა ჩიტი—მზრუნველი,
არ მოესალმა სამშობლო მხარეს!..
მუნ გამოირკვა განყენებული,
კვლავ მწუხარების შეეხო ძალი,
მოხუცებულმა შეწუხებული
კვლავ სოფლის ვაგლახს მოაპყრა თვალი.
შეჰხედა, თვისს ხელს, ცარიელს ბუდეს,
ტანჯვა და კვნესა კვლავ მოაგონდა
და ორი ცრემლი სინათლის მომფენს
თვალებზე წყვილად გადმოუგორდა!
გადმოუგორდა თვალებს დაქანცულთ
დიადის ტრფობით გატაცებულთა,
სიწმიდის მპყრობელთ, მადლით აღვსებულთ,
და სათნოებით დამშვენებულთა!..
და ის, ვინც ციურს ჰარმონიასა
სრულის სავსებით ჰგრძნობდა და ჰხსნიდა,
ვინც საუკუნეთ და წელთა სვლასა
მხოლოდ საკვირველს სიზმართა სთვლიდა,
ვინც ცად ჰფრინავდა დიადის სულით,
ვინც დავიწყებას თავსა დაჰპირდა,—
მერცხლის სიკვდილზედ მწარ სინანულით
აქვითინდა და მწარედ ატირდა!..

გრ. აბაშიძე.

**ქართველები და ქართული ისტორია.**

მხნემან, ვით ჩქარმან წყარომან,
განხეთქოს მთა და გორია.
გურამიშვილი.

აწინდელს დროში განათლებულნი ხალხნი იმისთანა ერს იყვარებენ და პატივს-სცემენ, რომელსაც აქვს თავისი ისტორია და ძველადგანვე შეძენილი სახელი და კულტურა. პირ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოინდომა ამ სამართალის ახალის მუხლებით გაძლიერება, ამის მიზეზი სულ სხვაა.

საქმე იმაშია, რომ მთავრობას ეს კანონი დასჭირდა სოციალისტების წინააღმდეგ. სოციალისტთა პარტია ძალიან გაძლიერდა და გაიზარდა გერმანიაში ამ ოცისა და ოც-და-ხუთის წლის განმავლობაში. მაშინ როდესაც მესამოც-და-ათე წლების პირველს ნახევარში გერმანიის პარლამენტში სოციალისტების წარმომადგენელი ერთი და ორი კაცი იყო მხოლოდ, დღეს იმავე პარლამენში არის ორმოცზედ მეტი. გერმანიაში იმნაირი წარმომადგენლობის წესი არსებობს, რომ პარლამენტში დეპუტატების რაოდენობით არ გაიზომება პარტიის რაოდენობა. ეს თუ ვიქონიეთ მხედველობაში, სოციალისტთა პარტიის სიმძლავრე უფრო ნათლად დაგვეხატება. მართლაც, უკანასკნელს არჩევანებზედ აღმოჩნდა, რომ სოციალისტთა ამომრჩევლების რიცხვი ბევრად აღემატება სხვა პარტიების ამომრჩეველთა რიცხვს. აი ამ პარტიის ამგვარმა საკვირველმა ზრდამ შეაშინა მთავრობა და ათფიქრებინა იმნაირის საშუალების მოძებნა, რომელსაც შეეძლოს სოციალისტურის მოძრაობის შეჩერება.

როგორც საფრანგეთის, იტალიისა და შვეიცარიის ბურჟუაზიამ პროგრესსა და რეფორმებს რეაქცია და რეპრესალია ამჯობინა, ისე გერმანიის მთავრობამაც ეს გზა აირჩია; აირჩია მიუხედავად იმისა, რომ დიდიხანი არ არის მას აქეთ, რაც იმავე მთავრობამ სცადა ეს გზა და ცდამ უნაყოფოდ ჩაუარა. ბისმარკის დროს არსებობდა ეგრედ წოდებული „საგანგებო კანონები სოციალისტების წინააღმდეგ“, მაგრამ სოციალისტთა პარტიის ზრდა ამით არა თუ არ შეწყდა, არამედ დევნულ და ჩაგრულ პარტიას მომხრეები დღითი დღე ემატებოდა. მთავრობა იძულებული იყო მოესპო საგანგებო კანონები.

მაგრამ ისტორია მალე ავიწყდებათ ხოლმე „ამა სოფლის მძლავრთ“ და ახლაც დაძველებულს იარაღს მიჰმართა ვილჰელმის მთავრობამ. ახლად შემუშავებული კანონ-პროექტი რამდენიმე მუხლიდგან შესდგება და საგნად აქვს შევიწროება ბეჭდვის თავისუფლებისა, შევიწროება ყრილობათა თავისუფლებისა და შევიწროება მწერლობა-მეცნიერების სჯისა და კრიტიკისა შესახებ სახელმწიფო და საზოგადოებრივ საქმეებისა.

სოციალიზმის აღორძინებისა და გაძლიერების მიზეზი ძლიერ ღრმა არის. საფუძვლად უდევს ამ აღორძინებას და გაძლიერებას ახლანდელი სოციალური წეს-წყობილება, რომელიც ორ ბანაკად ჰყოფს ერს. პირველს ბანაკს,— ერის უმცირესს ნაწილს—ხელთ აქვს მატერიალური ძალა; სიმდიდრე, ამის მიხედვით მის ხელშივეა პოლიტიკური ძალაც და დღევანდელის კულტურის ყოველივე სიკეთით ეს ნაწილი სარგებლობს. მეორე ბანაკი—ერის უმრავლესობა—პირველს ნაწილს ემსახურება, მისს სიმდიდრეს ამრავლებს, თითონ-კი ყოველ-დღე ლუკმა პურისთვის იბრძვის. სანამ ეს სოციალური უსამართლობა არ მოისპობა, მანამდის სოციალისტურს მოძრაობას ვერავითარი ძალა ვერ შეაჩერებს. ამას მიმხვდარნი არიან გერმანიის პროგრესისტები და ამითი აიხსნება ის გარემოება, რომ Umsturz-ის წინააღმდეგ საზოგადოებაც აღიმხედრა, იმიტომ აღიმხედრა, რომ მას კარგად ესმის—ახალი კანონ-პროექტი სოციალიზმს ვერას დააკლებს, ხოლო რეაქციას-კი გააძლიერებს!

პირველად ჟურნალ-გაზეთებმა გააცხადეს პროტესტი, მერე პროფესორ-მეცნიერებმა, შემდეგ სხვა-და-სხვა საზოგადო დაწესებულებამ და წრეებმა. დღე არ გავა, რომ არ მოვიდეს ამბავი—ამა და ამ წრემ ეს დადგენილება მოახდინა Umsturz-ის წინააღმდეგაო. შეიძლება რომ ასეთმა ერთხმა და ენერგიულმა პროტესტმა ათფიქრებინოს მთავრობას თავისის კანონ-პროექტის უკანვე წაღება. ამისი მაგალითი იყო კიდეც გერმანიაში: რამდენისამე წლის წინად მთავრობამ განიზრახა სახალხო სკოლების მზრუნველ პატრონად, სხვათა შორის, სასულიერო წოდებაც გაეხადა. აღელდა საზოგადოება და მთავრობას დიდი საყვედური გამოუცხადა. მაშინ ვილჰელმის ბრძანებით პროექტი აღარ წარედგინა პარლამენტს განსახილველად და ავტორი ამ პროექტისა, საერო განათლების მინისტრი, ცედლიცი, სამსახურიდგან გამოვიდა.

Umsturz-ი ჯერ კომისიაში ირჩევა და მალე უნდა წარედგინოს პარლამენტს. ჯერ ჯერობით გამორკვეულია, რომ პარტიები ამ ნაირად განაწილდებიან ამ საგნის შესახებ: წინააღმდეგობას გაუწევენ პროგრესისტთა პარტიას ორივე დასი, სოციალისტები, ელზას-ლოტარინგიის წარმომადგენელნი და შეიძლება პოლონელნიც; კანონის მომხრეები იქნებიან ნაციონალურ-ლიბერალები, კონსერვატორები და იმპერიის პარტია. საქმის ასე თუ ისე გარდაწყვეტა დამოკიდებულია ცენტრზედ—პარლამენტის უდიდესს პარტიაზედ. ჯერ-ჯერობით არ შეიძლება დაბეჯითებით ითქვას, რომელს მხარეს მიეკედლება ეს პარტია. თუ კლერიკალები მემარჯვენე პარტიებს მისცემენ მხარს, Umsturz-ი კანონად იქცევა და გერმანიის წარმატებას დიდი დაბრკოლება გადაეღობება წინ. ასეთს განსაცდელშია დღეს გერმანია. ბევრი ლოდინი არ დაგვჭირდება და ამ მოკლე ხანში გავიგებთ—იქაც გაიმარჯვებს თუ არა რეაქცია?!

ლალი.

---

# ახალი ამბავი

*** გუშინ, 11-ს მარტს, დილის ექვსს საათზედ, ხანგრძლივის ავადმყოფობის შემდეგ, გარდაიცვალა თავ. ივანე კონსტანტინეს-ძე მუხრან-ბატონი.

*** გუშინ, 11 მარტს, მადათოვის კუნძულზედ ქალაქის მუშებმა პანაშვიდი გარდაიხადეს განსვენებულის პ. ა. იზმაილოვის სულის მოსახსენებლად.

ამ დღესვე პანაშვიდი იქმნა გარდახდილი ებრაელთა თორაში ებრაელ ახალ-მოშენეთა მიერ.

ორივე პანაშვიდს დიდძალი ხალხი დაესწრო.

*** განსვენებულის პ. ა. იზმაილოვის გვამს ჩამოასვენებენ ტფილისში შაბათს, 18 მარტს, და იმ დღესვე მიაბარებენ მიწას.

*** ტფილისის სათავად-აზნაურო საადგილ-მამულო ბანკში რევიზია ჯერ არ დამთავრებულა. რევიზორებმა უკვე შეამოწმეს კასსა, განიხილეს ბალანსი, კომიტეტის სარევიზიო აქტები, პირობანი დამფუძნებელ წევრად ჩარიცხულისა და სხვანი; რევიზია, როგორც გვატყობინებენ, ორს კვირას განგრძობა.

*** მოვაგონებთ ჩვენს მკითხველებს, რომ დღეს, 12 მარტს, სათავად-აზნაურო ბანკის თეატრში გამართული იქნება ქართული კონცერტი, რომლის შემოსავლითაც პატივცემულს ქართულის ხოროს ლოტბარს ბ-ნ რატილს ხოროსათვის ახალის ქულაჯების შეძენა ჰსურს. იმედია, ამ კეთილს განზრახვას ჩვენი საზოგადოება სრულის თანაგრძნობას აღმოუჩენს.

*** დაიბეჭდა და გამოვიდა „დასაწყისი ალგებრა ვ. რ. ყიფიანისა. წიგნი დიდის ფორმატისაა, რომელიც შეიცავს 666 გვერდს და ღირს ექვსი აბაზი. წიგნი დაბეჭდილია ქართველთა ამხანაგობის სტამბაში.

*** დღეს, 12 მარტს ძმათა ნიკიტინების ცირკში გამოჩენილი თვალთმაქცი ნ. ა. კოზლოვი დიდს წარმოდგენას გამართავს, რომელზედაც სხვათა შორის 20 სხვა-და-სხვა საჩუქარი იქნება დარიგებული.

*** ამ ბოლო დროს დაბა-სოფლებში სხვა-და-სხვა სენი ჩნდება, რომლისაგანაც დიდი და პატარა ავად ხდება. ტფილისის მაზრაში ამ ჟამად ყვავილია გაზშირებული სხვა-და-სხვა სოფლებში, მგ. ელისაბეტალის კოლონიაში 15-მდე ავადმყოფი იყო და ამ თვის 8 რიცხვამდე ხუთამდე მორჩენილან, ათი კაცი კიდევ ავადაა; მანგლისში ჩვიდმეტამდე ავად იყო ერთი მომკვდარა და ცხრაც ავად დარჩენილა ამა თვეს 8 რიცხვამდე, დანარჩენნი მორჩენილან. მთავრობის განკარგულებით ექიმია ამ ადგილებში გაგზავნილი, რომ საჭირო საშუალება იხმაროს, ავადმყოფებს შემწეობა აღმოუჩინოს და სენს ბოლო მოუღოს.

*** დ. სენაკი: აქეთ ამ უკანასკნელ დრომდის კიდევ როგორმე აკეთებდნენ ხოლმე გზებს, მაგრამ ეხლა-კი,

---

იქით, იმისთანა ერთ, რომელთაც მრავალი დრო-ჟამი მოუჭამიათ, მაგრამ ვერ შეუქმნიათ ვერც საკუთარი ისტორია და არც შეუთვისებ-შეუგუებიათ საკაცობრიო ცივილიზაციის დასაწყისნი, — ვიმეორებ, იმისთანა ერთ ველურებსა და ბარბაროსებს ეძახიან. ისტორიკოსებისა და ფილოსოფოსების თქმით, მოვა დრო და ასრეთნი „ველურნი ერნი“ შთაინთქებიან უფრო ძლიერის ხალხების ცივილიზაციის მიერ და აღიგვება სახსენებელი მათი ამიერიდგან უკუნისამდე.

ჩვენდა სასიხარულოდ, ძველს ქართველებს ჩვენთვის დაუტოვებიათ იმისთანა აუარებელი სამკვიდრო და იმგვარი ფას-დაუდებელი საუნჯე, რომლის მიხედვით ქართველ ტომმოდგმას ეკუთვნის საპატიო ადგილი იმ ერთა შორის, რომელნიც ითვლებიან შემქმნელად საკაცობრიო ცივილიზაციისა. მხოლოდ, სამწუხაროდ ჩვენდა, სახელი ქართველებისა ცივგშია, დაჩრდილულია. ამისი მიზეზი ის არის, რომ ჯერ ჩვენი „სამკვიდრო“ შესწავლილი არ არის. ამ მიმავალ საუკუნის დამლევს საქართველოს ძველი მთავრობა რომ შეიცვალა რუსის მთავრობად, ახალ გარემოებათა მიმომდინარეობამ ქართველი ჩააგდო რაღაც გამოურკვეველს მდგომარეობაში. ამ მდგომარეობის მაყურებელმა ქართველმა დროებით დაივიწყა თავისი წარსული. იგი კარგ ხანს იმის გამოცნობაში იყო, თუ ვითარს მიმართულებას მიიღებდა და ვითარ გამოინასკვებოდა ქართველთა ცხოვრება ახალ მეპატრონეთა ხელმწიფობის ჟამს. ეს მაყურებლობის ხანა უკვე დასრულდა. დღეს უკვე ქართველობამ ნათლად გამოირკვია და შეიგნო ის გზა, რომელზედაც მან უნდა იაროს მტკიცედ ფეხ-მარჯვედ და მიაღწიოს უკეთესს მომავალს, რომელიც აღუთქვა მას იმპერატორმა ალექსანდრე პირველმა 12 ენკენისთვეს 1801 წელს.

ალექსანდრე პირველმა კვალად მისცა ერთობა საქართველოს, რომელიც სამეფოებად და სამთავროებად გაანაწილა შორს-გაუჭვრეტელმა საქართველოს მეფე ალექსანდრემ 1442 წელს. საქართველო ძველად, თამარ მეფის დროს, ისაზღვრებოდა: დასავლეთის მხრით ტრაპიზუნტით და აღმოსავლეთის მხრით — დარუბანდით.

გაერთიანებულ საქართველოს შვილებმა უკვე შეიგნეს, რომ „აწმყო, შობილი წარსულისაგან, არის მშობელი მომავალისა“. წინად აქა-იქ გაისმოდა ასრეთი სიტყვები:

არა არს-რა ისრეთ ტკბილი,
ვით მამულის სიყვარული.
ანუ
მოდით, შვილნო, აქ მოგროვდით,
გეტყვით გულის გასათბობსა, —
ვინ ვიყავით, რა ვიყავით
ჩვენ ქართველნი წინა დროსა!

ესრეთნი და ამგვარნი თქმულებანი მოეფინა საქართველოს და დღეს ყველას კარგა ეყურება, რომ უნდა ვიცოდეთ „ვინ ვიყავით, რა ვიყავით ჩვენ ქართველნი წინა დროსა“. თუ ჩვენ ჩვენი თავი არ გვეცოდინება და არ გვეყვარება, ვერც შევასრულებთ ქრისტეს დიდებულს მცნებას: შეიყვარე მოყვასი შენი, ვითარცა თავი თვისი“. ვითარ შევიყვარებთ მოყვასსა ჩვენსა, თუ არ გვეყვარება ჩვენი „თავი“, გამოხატული და გამონასკვული ჩვენს ისტორიაში!

ხოლო ჩვენი ისტორია ანუ, მდაბიურად რომ ვსთქვათ, ჩვენი ცხოვრება არის ერთი დიდებული ეპოპეა და მასში ამირანისებურად მიმსჭვალულია ის გონებრივი და კულტურული „სამკვიდრო“, რომელიც დაგვიტოვეს წინაპრებმა და რომელიც დღესაც, ჩვენ-მიერ შეუმჩნეველად, გვასაზრდოებს და გვკვებავს ქართლოსიანთ.

მართალია, ახალმა დრომ ბევრი რამ შეგვძინა და შეგვმატა, ჩვენს ცხოვრებაში ბევრი ახალი სასიკეთო ნაკადულები შემოაჩუხჩუხა, მაგრამ მაინც ეს ახალი „ბევრიც“ ძველის დროიდგანვე შემუშავებულ ჩვენს კულტურასთან შედარებით მხოლოდ ცვარია დიდს ზღვაში.

თუ არის, სად არის ეს ზღვა კულტურაო, რატომ ვერ ვხედავთ და ვერ ვამჩნევთო? იკითხავთ.

— იმიტომ ვერ ვამჩნევთ, რომ ზღვა ჩვენის კულტურისა ჩვენს მატიანეს (ქართლის ცხოვრება) არ აღუნიშნავს. ქართველთა დიდებული ძეგლი „ქართლის ცხოვრება“ აღწერილი სხვა-და-სხვა დროს და სხვა-და-სხვა ავტორისაგან არა ისტორიაა ერისა, არამედ მხოლოდ ერთი დარგი მისი, სახელდობრ და განსაკუთრებით იგი არის „სამხედრო ისტორია“ ქართლოსიანთა. ხოლო საქართველოს „სრული“ ისტორია, როგორც იგი გვესმის დღეს ჩვენ, სავსებით გამოხატულია:

ქართლის-ცხოვრებაში (სამხედრო ისტორია).

სიგელ-გუჯრებში (შინაური ცხოვრება).

დიდებულს ძეგლებზედ (ხუროთ-მოძღვრება, ქანდაკება, მხატვრობა, მეურნეობა).

ფულებზედ (მადნეულობის შემუშავება, მეფეთა სურათები და მათი ჩაცმულობა).

ხელ-ნაწერებში (მწერლობა საზოგადოდ: ისტორია, ფილოსოფია, ღვთისმეტყველება, ვარსკვლავთ-მრიცხველობა, გეოგრაფია, სჯულ-დება, ხელთა-ქორონიკონი, აპოკრითნი და სხვ.)

ზეპირ-სიტყვიერება (ლეგენდები, თქმულობანი, შელოცვანი, ზღაპარნი, გამოცანანი და სხ.)

ქართულს ენაში (ძველი სახელები დღეებისა, თვეებისა, სოფლებისა, ქალაქებისა, ქვეყნებისა და სხ.)

და უცხოელთა ისტორიკოსებისა და მოგზაურების ნაწერებში და აგრეთვე საქართველოს მეზობელ ხალხების გარდმოცემასა და თქმულობაში.

„თუ ერის კულტურა გაიზომება მის-მიერ შექმნილ და შეძენილ სამწერლო ნაშთების რაოდენობითაო, ამბობს ბროსსე, იმაზედ ადვილი აღარა არის-რა, რომ საქართველოს კულტურა ძლიერ მაღლა დავაყენოთო, რადგან ამ ერს შეუქმნია და შეუნახავს აუარებელი რიცხვი შესანიშნავ ხელ-ნაწერებისა“. ახლა, წარმოიდგინეთ, ესე თუ იყო ბროსსეს დროს, რა უნდა ვსთქვათ დღეს, როდესაც ცაგარლისა, ბაქრაძისა, იოსელიანისა და „წერა-კითხვის საზოგადოების“ მეოხებით ქართულ ხელთნაწერების რიცხვი გადიდდა, გამრავლათასდა და ეს მრავალ-ათასიც, როგორც ამბობს ერთი მეცნიერი, ჯერ იმის ნახევარიც არ არის, რაც გვაქვს და შემოიკრიბება ნელ-ნელა და თანდა-თან.

სახალხო სიტყვიერებას დაუცავს ფრიად საგულისხმიერო თქმულებანი შესახებ ქვეყნისა და კაცის შექმნისა, ენის გაჩენისა, ცისა და ღვთის ადამიანებთან ცხოვრებისა, ძველი და ახალი ხანა ეპოქებისა, ძველ გმირებისა, ზნეობისა, მეზობლობისა და სხვ.; ერთის სიტყვით, ეს სიტყვიერება არის სარკე ქართველ ერის ფილოსოფიისა და რწმენისა. თუ რა ღირსებისაა ეს სახალხო ფილოსოფია

ჩვენს მტერს, რომ ჩვენი გზები ცუდს დღეშია. საჭიროა, პატარა დიდი წვიმა მოვიდეს, რომ გავლა შეუძლებელი და გახდეს და მთელი თვე ტალახ წუმპეები ველარ ამოშრეს სავალ გზებზედ. ამიტომ საჭიროდ ვრაცხთ, ვისიც-კი ხელთ არის ეს საქმე, ჯეროვანი ყურადღება მიაქციონ.

—

## შეცდომის გასწორება.

გუშინდელს № 54-ში დაბეჭდილს ლექსში შეცდომით არის დაბეჭდილი მე-6 სტრიქონში: „არც თუ ჩამაგდე ჩარადა“ უნდა იყოს: „არც თუ ჩამაგდე ჩირადა“; და მერვე სტრიქონში: „თავს რად მადგევხარ მზირადა“? უნდა იყოს: „თავს რად მადგევხარ გზირადა“?...

## კავკასიის სამეურნეო საზოგადოების კრება.

—

10-ს მარტს შესდგა სამეურნეო საზოგადოების კრება, რომელზედაც იყო baasi იმის შესახებ, თუ რითი დავეხმაროთ კავკასიის მეურნეს, რომლის ნაწარმოები, პურია, თუ ღვინო, აღარ გადის კარგს ფასში და შრომის საფასურსაც ველარ იძლევაო.“ აქ დამსწრე მემამულემ თ. დავით ბარათაშვილმა, რომელსაც მამულები აქვს ტფილისის, ბორჩალოსა და გორის მაზრებში და თვალ-ყური უდევნებია ფასების აწევ-დაწევისათვის, კრებას ჩვენებურის მემამულის სამწუხარო სურათი დაუხატა. ავერ შემოდგომას აქეთია ვუცდი, რომ აი, ან ახლა, ან ახლა აიწევს ჰირნახულის ფასი-მეთქი, მაგრამ ჩვენივე ჩამოტანით ორის აბაზისა და ათის შაურის მეტს არავინ იძლევა; მსყიდველი არ არის არსად, ხალხს კი ფული ეჭირვება; რომ სახელმწიფო, თუ სხვა ხარჯები გაისტუმროს. რუსეთის პურმა დასცა ძირს ჩვენი პურის ვაჭრობა. უნდა ვეცადოთ ამ საქმეს მალე ვუშველოთ. ვთხოვთ საფინანსო სამინისტროს, რომ შეისყიდოს ჯარის სურსათისათვის ჩვენი ჰირნახული; ამ საშუალებას რუსეთშიაც მიჰმართვენ ხოლმე და კარგს დახმარებასაც უწევს იგიო.

აგრონომი ტიმოფეევი წინააღმდეგი იყო ამ აზრისა. მან სთქვა: კავკასიის ჯარისათვის, როგორც ამ საგანის შესახებ შეკრებილ ცნობებიდგანა სჩანს, საჭიროა მხოლოდ $^{2}/_{7}$ ჩვენებურის პურისაო და ან მთავრობა რად იყიდის ჩვენგან ძვირად, როდესაც რუსეთიდგან მოტანილი უფრო იაფად დაუჯდებაო. მე მგონია, სხვანაირად უნდა მივეშველოთ მეურნეს, უნდა გავუიაფოთ, გავაუმჯობესოთ მეურნეობა და წავახალისოთ, რომ გლეხობა საქონლის მოშენებასაც შეუდგეს; რომ ცხოვრების სალსარად ერთი რომელიმე წარმოება-კი არ ჰქონდეს, არამედ ორი და მეტიო.

დასასრულ, თავმჯდომარე ქალანთარი იმ აზრს დაადგა, სხვებთან ერთად, რომ საქონლის მოშენებას მივაქციოთ ყურადღება, გავაიაფოთ წარმოება, ვასწავლოთ ხალხს კარგი მებოსტნეობა, სხვა-და-სხვა ხელობა და ვეცადოთ მემამულეებმა პურის საწყობები გამართონ ქალაქებში მზგავსად იმისა, როგორც კახელ მევენახეთა ამხანაგობა არის და მაშინ უფრო ადვილი შესაძლებელი იქნება ჩვენის ხორბლეულისა და სხვა ნაწარმოების გასაღებაო.

კრება თერთმეტს საათზედ დაიშალა.

## კორესპონდენცია.

—

**ქვემო-მაჩხაანი.** 33 თებერვალს ეკურთხა ქიზიყის სახალხო დეპო მრავალის სამღვდელოებისა და დიდძალის ხალხის თანადაწრებით. კურთხევის ბოლოს ბლაღოჩინმა კირილე ღვთისავრიშვილმა წარმოსთქვა მჭევრმეტყველური სიტყვა, რომელშიაც მკაფიოდ განუმარტა ხალხს კოოპერატიულ დეპოს მნიშვნელობა და მის გამახორციელებელთა თავგამოდებულის მეცადინეობის დედა-აზრი. კურთხევის გათავებისათანავე დაიწყო აღებ-მიცემობა და ეს მესამე კვირა მიდის, რაც ხსენებულის დეპოს ფართო ეზოც-კი ისეა გაჭედილი დილასისხამიდამვე მოკიდებული ბინდობამდის მრავალ მსყიდველ ქალით და კაცით, რომ ნემსი არ ჩავარდება. ათასს ლოცვა-კურთხევას უგზავნიან ქიზიყელები მისს დამაარსებლებს ყოველგვარ სავაჭროების იაფ ფასად გასყიდვისათვის და წყვა-წონვა ზომის სისწორისათვის. კრიჭა შეკრული წურბელა ვაჭარ-ჩარჩები-კი უანგარიშო ლანძღვა-გინებით და ცილის წამებით იხსენიებენ თავიანთს ,,ბედის შემკვრელებს“. დეპოს გახსნის ,,უმალვე სიღნაღის მაზრის ვაჭარ-ჩარჩები ერთი ერთმანეთს ეცნენ და აფუტფუტდნენ მლილებივით. იმათ ისე სალაპარაკო დღეს სულ ეს-ღაა: ,,არიქათ, ძმებოჯან, ის რაღაც ქართველის ეშმაკების მოგონილი დეპო თუ ეხლავ არ ამოვაგდეთ ძირიანად, გაიზდება, ფესვს გაიდგამს და ლუკმას გაგვიწყვეტავსო.“ ამ მიზნის მისაღწევად რამდენიმე ხალხის ჭამია ვაჭარს რამოდენიმე ას თუმანზედ ხელის აღება განუზრახავს დეპოსათვის ,,ძალუმი“ კონკურენციის გასაწევად იმ იმედით, რომ როცა ჩვენს თავზარ დამცემს დეპოს ,,ამოვაგდებთ“, მაშინ ისევ ჩვენებურად ძველებურად ვინადირებთ ცხვრებში და ერთი ასად გადავითავებთ დანაკლისსაო. მაგრამ განა შეიძლება ოციოდე წუწკალა მგელმა ასნი და ათასნი უსამართლობისათვის საომრად გამოსულნი მკლავგულძლიერნი ქიზიყელები დაამარცხოს?! არა, ამისთანა სასაცილო ოცნებას ნულარავინ მიეცემა მეცხრამეტე საუკუნის დამლევში, დღეს, როდესაც თვით პირუტყვებსაც-კი ენა ამოუდგამთ და გულ-გამეხებით იძახიან: საჩხობელა მგელს! სიკვდილი მოღალატეს!..

გამგეობის თავმჯდომარის სახლში სადილზედ ბევრი კარგი და საგრძნობელი სიტყვა წარმოითქვა მრავლად თავ მოყრილ ხალხში. დრო-გამოშვებით ვაცნობებთ მკითხველს ხსენებულ სახალხო დეპოს მოქმედების ამბავს და მისს ბედ-იღბლის სიავკარგეს, მით უფრო რომ ნათქვამია: წინა კაცი უკანა კაცის ხიდიაო.

X X.

—

**გორი.** გორის სასულიერო სასწავლებლის ოლქის სამღვდელოების დეპუტატთა კრებამ მრავალ-გზის სთხოვა მთავრობას, რომ სასწავლებლის ეკკლესიაში წირვა-ლოცვა ქართულს ენაზედაც წარმოებულიყო და ამით მოსწავლენი დახელოვნებულიყვნენ ქართულს საეკკლესიო კითხვა-გალობაში. მაგრამ აქამდის არავითარი განკარგულება არ მოხდა. წელს-კი საქართველოს ექსარხოსმა ვლადიმირმა ყურადღება მიაქცია სამღვდელოების თხოვნას და მისის ბრძანებით ქართული წირვა-ლოცვა სასწავლებლის ეკკლესიაში ნება-დართულ იქმნა. ყოველს პარასკევს, დილით, ამის შემდგომ ქართული წირვა-ლოცვა იქნება, რომელსაც შეგირდები დაესწრებიან რიგ-რიგობით. ქართულის წირვა-ლოცვის წარმოების საქმე სასწავლებლის სამმართველოს გარდაწყვეტილებით კომისსიას მიენდო, რომელსაც შეადგენენ მასწავლებელი ქართულის ენისა ილ. ფერაძე, სასწავლებლის მღვდელი მ. კ. ცხვედაძე და გალობის მასწავლებელი ს. გოგლიჩიძე. საზოგადოდ, ხსენებულს სასწავლებელში, როგორც ნამდვილ წყაროებიდგან გავიგე, კარგი ყურადღება აქვს მიქცეული ქართულის ენის შესწავლას, რისთვისაც ერთის მხრით მადლობელი უნდა ვიყვნეთ სასწავლებლის ზედამხედველის ბ-ნ ვ. ბელიაევისა, რომელიც სულით და გულით პატივს-სცემს ქართველს ხალხს; ბატონი ბელიაევი, თუმცა ტომით რუსია, მაგრამ ის ქართველს თავის ძმად სთვლის და არ ჰგავს ზოგიერთს თავისს მოძმეებს, რომელნიც ნაცვლად ძმურის კავშირისა და მეგობრულის დამოკიდებულებისა, მტრობას და სიძულვილს სთესენ რუსებსა და ქართველებს შორის. საზოგადოდ უნდა შევნიშნოთ, რომ რაც ხსენებული ბელიაევი გამწესდა ზედა მხედველად გორის სასულიერო სასწავლებლისა, ამ სასწავლებელში ჩამოვარდა მშვიდობა, მყუდროება და წესიერება მოწაფეებს უყვართ თვისი ზედამხედველი და შესცქერიან მას, როგორც მზრუნველი კეთილს მამას.

ტატო ეგაძე.

## ნარკვევი

(ჟურნალ-გაზეთებიდგან)

გაზ. ,,ნოვ. ობოზრ.“-ში საინტერესო წერილები იბეჭდება, კახეთიდგან. დღევანდელს წერილში სოფლის ინტელიგენციის შესახებ მოგვითხრობს წერილების ავტორი ბ-ნი ს. შ—დოვი.

ჩვენს გაზეთშიც არა ერთხელ გამოგვითქვამს ის აზრი, რომ ქართველმა ინტელიგენციამ სრულიად დაივიწყა სოფელი და გლეხ-კაცი, რომ ეს არც სასურველია და არც სასარგებლო ჩვენის ერისათვისაო.

ამავე აზრისა არის ბ-ნი ს. შ., რომელსაც ეტყობა, ზედ-მიწევნით შეუსწავლია ჩვენის სოფლის ვითარება.

ქართველს ინტელიგენციას, ამბობს ს. შ., ჩვენის აზრით, არავითარი უფლება არა აქვს თავისს ხალხს დაემდუროს; მოეჭკრავს თუ არა უცხოს ხალხი, რომლისამე ქართველ საზოგადო მოღვაწის სახელს, რაღაც სიაამაყით და სიყვარულით იმეორებს

---

ჩვენის ერისა, სჩანს იქიდგან, რომ ამ ფილოსოფიის ხელმძღვანელობით შეიქმნენ პოეტნი ლ. რაზიკაშვილი და ძმანი მისნი, ცახელი, ალ. ყაზბეგი, დავ. გურამიშვილი. თვით პოეტთა მეფეს შოთა რუსთაველს და მისს წინა-მორბედს მოსე ხონელს — იგივე სახალხო ფილოსოფია დაუდვიათ საფუძვლად თვისის უკვდავის ქმნილებებისა.

დიაღ, ხალხში დიდი საუნჯეა დარჩენილი. გალობა, სიმღერა, ლექსაობა (მესტვირეობა), პლატონისებური სიყვარული (წაწლობა მთაში), სხვა-და-სხვა ჩვეულებანი,—ყველა ეს ძველის დროის ნაშთია და სამკვიდრო. მაგ. დღეს რომ მღერიან „ჰო, დელა-დელია“-ს, აქ არ შეიძლება ამ „დელი“-ს არ დავუკავშიროთ ჩაჩნური დელი, რომელიც იმათს ენაზედ ჰნიშნავს ღმერთს და აგრეთვე სვანური დალი.

ახლა უცხოელთა ნაწერებში რომ ჩავიხედოთ, იქაც დავინახავთ არა ერთს წვლილს, რომელიც ქართველ ერს შეუტანია საკაცობრიო ისტორიის სალაროში. მეცნიერთა თქმით (ლენორმანი, რიტტერი) რკინის შემუშავება, ფოლადის კეთება, სელის შემუშავება, კარტოგრაფია ბერძნებს პირველად საქართველოში გაუცვნიათ და შეუსწავლიათ. საგულისხმოა (და რამდენიმე საბუთს ამისას გვაძლევენ თვით დეკანდოლიცა და ზუსსიც (Lingua celtica), რომ თვით ღვინო-ც (vinum, вино), ნიგოზი (nux), კანაფი (cannabis, конопля), სისირი (cicer), ლობიო (lubia, ბერძნ. lobion), ქრთილი (ბერძნ. crithi), პური (ბერძნ. puros), ბაკლა (ბერძნ. φακι) და სხ. საქართველოდგან იყოს წასულ-წამოსული. ხოხობი ხომ, როგორც თვით ბერძენ-რომაელთა მწერლები ჰმოწმობენ, რომაელებმა პირველად აქ გაიცნეს და ამ ფრინველს დაარქვეს ქვეყნის „ფაზიანის“ (ასრე იწოდებოდა რიონის ხეობა, რადგან იგი მდინარე გამოსდის ფასის მთას) სახელი (фазанъ).

—

ყველა ამას უნდა შემოკრება, შესწავლა, შემუშავება. აი ეს წყარონი და მასალანი რომ ხელთ გვექნება, მაშინ და მხოლოდ მაშინ დაიწერება ნამდვილი და ჭეშმარიტი ისტორია საქართველოსი. ბევრჯელ გაგვიგონია: ერთი რიგიანი ისტორიკოსი არ გამოგვივიდა, რომ დაგვიწეროს სრული ისტორია ჩვენი მამა-პაპებისაო. ამისთანა მამულის-შვილთ ავიწყდებათ, რომ ერთი კაცი, რაც უნდა იგი იყოს საისტორიკოსოდ მომზადებული, მაინც სრულს ისტორიას ვერ დასწერს დღეს. და ვერ დასწერს იმიტომ, რომ ზემორე ხსენებულნი დარგნი ჩვენის ცხოვრებისა ჯერ სავსებით არ არიან გამოქვეყნებულნი. სიგელ-გუჯარნი ლპებიან სხვა-და-სხვა კანცელარიებში; ხელ-ნაწერები, რომელთა რიცხვი მრავალი არს, ჯერ ხუთი-ექვსიც არ არის დაბეჭდილი. საქართველოს სახუროთ-მოძღვრო ძეგლნი რიგიანად არ არიან შესწავლილნი. სახალხო სიტყვიერება არ არის შეკრებილი და გამოკვლეული. ქართული ენა და მისი ზრდისა და განვითარების ისტორია არ ვიცით და სხვა-და-სხვა. ყველა ამისათვის ერთის კაცის შრომა არ კმარა. სხვაგან ყველა ამას იკვლევენ რამდენიმე აკადემია-უნივერსიტეტნი, გუნდნი მეცნიერთა და ფილოსოფოსთა. თვით სახელმწიფოც ჰშველის მათ ფულითა და სხვა ფრივ. ამის შემდეგ აბა როგორ-ღა ვამბობთ, ხეირიანი ისტორიკოსი არ გამოგვიჩნდაო! არც გამოგვიჩნდება, ვიდრე ყველა ქართლოსის ძენი ხელი-ხელს არ ჩავსჭიდებთ ერთმანეთს და არ შევუდგებით აღდგენას ჩვენის ცხოვრებისას, შემოკრებას ჩვენის სამკვიდრებლისას. ჩვენი აკადემიაც და უნივერსიტეტიც დღეს არის მხოლოდ ,,წერა-კითხვის“ საზოგადოება. ამ საზოგადოების გარეშემო შემოვიკრიბნეთ. ზოგმა ვიმუშაოთ გონებით და ზოგმა შევსწიროთ თითო-ოროლა გროში ჩვენისავე ცხოვრების აღდგენის საქმეს, ამ უსამღვთოესს მოვალეობას ყოველის ქართველისას.

ნუ ვინ გაიფიქრებს იმას, რომ ან ნიჭი არ გვქონდეს, ან შრომის მოყვარეობა არ ვიცოდეთ, ან ზარმაცნი ვიყნეთ. ქართველის სიზარმაცე ჭორია მეჭორეთაგან მოგონილი. თუ არა ნიჭმა და სიმხნევემ, მაშ რამ შეჰქმნა ზემორე ხსენებულნი აუარებელნი ხელ-ნაწერნი, მაშ ვინ შეჰქმნა ,,ამირან-დარეჯანიანი“, ,,ავთანდილ-ტარიელი“, ,,ქართლის ცხოვრება“ და საკვირველნი ძეგლნი, დიდებულად აღზიდულნი საქართველოს ყოველ-კუთხესა და ღელე-ყურეში თუ არა ნიჭით, მაშ რით და როგორ გაითქვეს სახელი პირველ ხარისხოვან მუშაკებმა: ე. პეტრიაშვილმა, ი. თარხნიშვილმა, ა. ცაგარელმა, მელიქიშვილმა, რაზმძემ, სუმბათიშვილმა (იუჟინი) და სხვ. იყოს თაფლი (იგულისხმე: საფასე, ურომლოდაც კაცს შრომა არ შეუძლიან) თორემ ფუტკარი (მუშაკი) გამოჩნდება. ჩვენის ნიჭით თუ სარგებლობენ, რატომ ჩვენ-კი არ უნდა ვისარგებლოთ. შეძლება და სალსარი მივსცეთ და ყველა იმუშავებს სასარგებლოდ თავისს გვარ-ტომისა.

რაოდენ ვაჲ-ვაგლახს, რაოდენ გრიგალსა და ქარ-ტეხილს გადაუვლია ჩვენ წინაპრების თავზედ, მაგრამ მათ თვისის ბუნებრივის სიმხნითა და ნიჭით დაუცავთ თვისი ენა, სარწმუნოება და თავისუფლება.

მაშ ჩვენც ძველებს მივბაძოთ, დავლეწოთ უმეცრების ბორკილი, აღვადგინოთ ჩვენი, ,,სამკვიდრო“. განა დრო არ არის! ერთი მივიხედოთ ,,რა სიკვდილის ლხინია ჩვენს გარეშემო!“ განა არ შეგვიძლიან მუშაობა, შემწეობა, დახმარება, ერთობა! დიაღაც შეგვიძლიან, ვინაიდგან:

პირველ თქმულია მკვლეთაგან სი-
დარბაისლე მესხისა;
ზრდილნი არიან იმერნი, მტერთა მო-
მცემნი რისხვისა;
ზურადობა და კაჟრობა ქართველისა არ
ეზრახვისა;
ომი და ლხინი კახისა მოსაწონია კა-
ცისა.

ჯერ ხნობით მეტიც არ არის საჭირო ჩვენთვის: ჩვენ დღეს გვინდა სიდარბაისლე, ზრდილობა და ზურადობა, რომ ერთმანეთს გულ-შემატკივრად და თავაზიანად მოვეპყრათ და შევეწივნეთ, კაჟრობა გვინდა, რომ შეგვმატოს საფასე და უნჯი ქვეყნისათვის მოსახმარად. მაშ ენც, ქართველო,

აღსდეგ, გმირთ გმირო, ნუ გძი-
ნავს,
მტერთა ისმიან ხმანია:
გრძლად ძილს ჩვეული როდი ხარ,
მიგვ. ხმე უჯნი უმახია;
განიფრთხე ძილი, აღსდეგ,
ჩაიცვ წვრილ თვალა რკინისა,
გაშალე დროშა მძლეველი
წვერ მახვი, მტერთა ზარია.
მოუმეთ ნახონ ფრიალნი,
მუნ მოსქდეს მთა და ბარია.

ვიცოდეთ, რომ მარტო მღვიძარესა და მხნეს ეკუთვნი მომავალი.

გიორგიძე.

ხოლმე ამ სახელს. ერთობ მკირვასი გარემოებაა ეს და სასიკეთოდ გამოსაყენებელიც. სამდურავის ღირსი თუ არის ვინმე აქ, ისევ ინტელიგენცია არის, რომელიც ცალ-მხრივს მოქმედებას მისცემია და სრულიად დავიწყებია გლეხ-კაცობის საჭიროება.

ამითი იმისი თქმა-კი არ გვინდაო, ამბობს ავტორი, რომ ქართველს ინტელიგენციას არა გაეკეთებინოს-რა, არა, ჩვენ ნათლად ვხედავთ მისს ღვაწლს, მხოლოდ ცალ-მხრივად-კი მიგვაჩნია იგიო.

დაასქქერდით ინტელიგენციის მოქმედებას და დარწმუნდებით, რომ საკუთრად ხალხის სასიკეთოდ მალიან ნაკლებად უშრომია მას, თითქოს საქართველოს ინტელიგენციას დევიზად შემდეგი დაესახოს: „ინტელიგენცია თავად-აზნაურისათვის და თვით ინტელიგენციისათვისა“-ო.

რა-კი ერთის მხრივ ინტელიგენციამ დაივიწყა სოფელი და მეორეს მხრით-კი თავად-აზნაურს არ ძალუძს შვება მოუტანოს სულ-ყველას (რადგან თავის თავისთვისაც ვერ უშველიაო), ხალხისა და სოფლის პატრონად ერთად-ერთი სამღვდელოება დარჩაო; დასძენს ს. შ—დოვი. სამღვდელოებაზედ ლაპარაკს-კი—შემდეგში გვპირდება.

—

ეგზამენების დროს ხშირად მოხდება ხოლმე, რომ მოწაფეები ჩუმად ერთმანეთს ჰშველიან ამოცანების გაკეთებას და შესაფერ პასუხების მიგებას. ყველგან ცდილობენ მოწაფეებს მოაშლევინონ ეს საქციელი და ამისთვის ხშირად სასტიკს ღონისძიებასაც-კი ხმარობენ.

ამერიკანელებს-კი ერთი ისეთი უბრალო საშუალება მოუგონიათ, რომ როგორც ეტყობათ, ადვილად მოაშლევინეს ამერიკელ მოსწავლეთ ეს აკრძალული საქციელი.

ამერიკაში, ორს სტუდენტს A და B ერთი და იგივე საგანი მისცეს გასარჩევად. რამდენიმე საათის შემდეგ A გაათავა და თეთრად გადაწერა კიდეც თავისი პასუხი, B-კი ჯერ აჴერხებდა საგნის ახსნას; ამ დროს ამოვარდა ქარი და A-საგან შავად დაწერილი პასუხი B-საკენ გადაფრინდა და ხელში ჩაუვარდა. B-მ გადაავლო ერთბაშად თვალი ფურცელს და შიგ სასურველი პასუხი ამოიკითხა. მაგრამ...იმ წამსვე წერილს თავი დაანება, თუმცა პასუხი ხელში ჰქონდა.

რად მოიქცა ასე ამერიკელი სტუდენტი? იმიტომ რომ მასწავლებელმა ეგზამენების დაწყებამდე ყველას ხელწერილით პატიოსანი სიტყვა ჩამოართვა, რომ ისინი არავის შემწეობით არ ისარგებლებენ. ამ რიგად პატიოსანის სიტყვის ჩამორთმევა უფრო ნამდვილი საშუალება ყოფილა, ვიდრე სხვა ათასი სასტიკი ღონისძიებანი, რომელსაც აქამდის ხმარობდნენ. არ იქნება ურიგო ჩვენს სასწავლებლებშიაც შემოიღონ ეს ამერიკული ხერხი.

## წვრილი ამბავი

—

ლიონის გამოფენაზედ ერთი ვაგონი იყო, რომელიც ელექტრონის ძალით დადიოდა თავის თავად. თუმცა აქამდისაც იყვნენ ელექტრონით მოსიარულე ვაგონები, მაგრამ იქ ვაგონი ელექტრონის ძალას გარედგან ღებულობდა და ეხლა-კი ეს ელექტრონი თვით ვაგონშივე არის მოთავსებული; ამ რიგად მავთულები აღარ არის საჭირო. რაკი ეს მოახერხეს, ეხლა შორს აღარ არის ის დრო, როდესაც არამც თუ ვაგონები, არამედ უბრალო ეტლებიც ივლიან ელექტრონის საშუალებით და მაშინ ხომ ცხენების შებმა აღარავის მოგვინდება.

## დაღუპვა გემის «ნორმანდიისა».

(ვ. ჰიუგოდგან)

ჩემი მეგობრები დამეკითხნენ, თუ რა გვარად იმოქმედა ჩემზედ მონტალამბერის *) გარდაცვალებამ. მე ვუპასუხე: „სრულიად არავითარი ზედმოქმედება მისს სოფელთან გამოსალმებას, მისს სიკვდილს ჩემზედ არა ჰქონია!.. მაგრამ, თუ გინდათ გაიგოთ, თუ რამ დამანაღვლიანა, შეაშფოთა სული და დამიწყლულა გული, მომისმინეთ:

ოთხი დღეა მას შემდეგ, რაც გემი „ნორმანდია“ დაიღუპა შუაგულს ზღვაში... ამ გემით მოდიოდა ერთი ვიღაც ღარიბი, საბრალო ხურო თავისის ცოლით. ისინი მოემგზავრებოდნენ ლონდონიდგან, სადაც ავადმყოფი ხურო საექიმოდ წასულიყო. უეცრად, შუაღამის დროს, როდესაც ზღვას შავი უკუნი წამოსწოლოდა თავზედ, გემი გაირღვა და ზღვის უბსკრულისაკენ დაიძირა!.. ყველა და ყოველი ეთხოვებოდა სიცოცხლეს, ქვეყანას, იღუპებოდა, გარდა ერთის პატარა ნავისა, რომელიც სიცოცხლის მოტრფიალეთაგან ავსებულიყო —თავისათვის ეშველათ... საბრალო ხურომ, რა რომ გადარჩენილებს თვალი მოჰკრა, ვედრებით მიაძახა:

— მოითმინეთ! მოითმინეთ, ბატონებო! ჩვენც ახლა ჩამოვალთ, ჩვენც გვიშველეთ, ჩვენც თან წაგვიყვანეთ!..

— მეტი ალაგი აღარ არის ნავში! არის ერთი ალაგი მხოლოდ და ისიც მანდილოსნისათვის! გამოისტუმრეთ თქვენი ცოლი, დაბრძანდეს! მოისმა პასუხი.

— წადი, ჩემო საყვარელო მეგობარო, წადი მალე! უთხრა ქმარმა ცოლს, წადი თავს უშველე!

— არა!.. არა... მე არ წავალ! მიუგო ქმარს ცოლმა აღტაცებით და სულის ძლიერებით: მე რად წავალ, როდესაც შენთვის ნავში ალაგი არ მოიპოვება? მე რომ წავიდე, თავს ვუშველო, შენ ხომ უნდა დაიღუპო? მაშ ისა სჯობიან, ჩემო ბედნიერებავ, ორნივ ერთად დავიღუპოთ!..

ეს „არა“ იყო სახება დიდებისა; ეს იყო სასოებით თაყვან-საცემელი და უკვდავი პასუხი! ასეთი სიდიადე სულისა, ასეთი გმირობა, უბრალოთაგან ცხოვრების ლამპრად წინ წაძღვანილი, სულს იმორჩილებს და გულსა ჰხიბლავს! ეს სიყვარულით აღსავსე „არა“ წარმოთქმული თაფლ-შარბათივით ტკბილის ღიმილით სამარის წინაშე, მართლა რომ დიდებული სურათია! დიდებულის სულის პატრონი ადამიანი, საბრალო ქალი, მხურვალედ ჩაეკონა თავისს ქმარს სანუგეშებლად და ორივე შეკავშირებული წრფელისა და დიადის სიყვარულით, დაიმალნენ ზღვის მქუხარს ტალღებში...

აი, სურათი, ჩემო მეგობარნო, რომელმაც ზედ მოქმედება იქონია ჩემზედ, გული მომიწყლა და ჩემს თვალებს ცრემლის ნაკადული მოსთხოვა!..

*) გამოჩენილი მჭევრმეტყველი დამცველი კათოლიციზმისა.

## წერილი რედაქციის მიმართ.

—

თქვენს პატივცემულს გაზეთში წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების მორიგს კრებაზედ, რომელიც 5 ამ თვეს შესდგა, ახლად არჩეულ სარევიზიო კომისიის წევრთა შორის მეც ვარ დასახელებული.

მაქვს პატივი ამით ვაცნობო „ივერიის მკითხველებს, რომ მე თვით კრებაზედვე გამოვაცხადე უარი ჩემს ამორჩევაზედ ხსენებულს კომისიაში.

ვ. რცხილაძე.

10 მარტი.

# დეპეშა

(რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან).

11 მარტი.

**პეტერბურგი.** მათნი იმპერატორებითნი უდიდებულესობანი ხელმწიფე იმპერატორი და ხელმწიფა იმპერატრიცა ცარსკოე-სელოში წაბრძანდნენ.

გამოცხადდა, რომ მიუნხენის ელჩი ტ. ს. გრ. ნ. დ. ოსტენ საკენი გერმანიის იმპერატორთანა და მეკლენბურგის სასახლის ელჩად იქნა დანიშნული.

პეტერბურგში ახალი სანავთ-სადგურო მმართველობა იქნება შემოღებული.

ხარკოვიდგან დეპეშით ატყობინებენ „ნოვოე ვრემიას“, რომ ხარკოვის გუბერნატორს ტ. ს. ა ი. პეტროვს ვარშავის გენერალ-გუბერნატორის თანაშემწედ ჰნიშნავენო.

„ნოვოსტი“ იუწყება, რომ წერა-კითხვის კომიტეტი ამის შემდეგ საერო განათლების სამინისტროს გამგეობის ქვეშ იქნებაო.

**ბერლინი,** 10 მარტი. თავ. რადოლინი, რომელიც ამ ჟამად სტამბოლშია ელჩად, პეტერბურგის ელჩა ინიშნება.

**ბელგრადი.** გაზეთი „მალია ნოვინი“, რომელშიაც ჩერნოგორიის მთავრის დედის შეურაცხმყოფელი წერილი იყო დაბეჭდილი- სამართალში პასუხის გებას მიეცა.

**ლონდონი,** 10 მარტი. იოკაჰამადგან იუწყებიან დეპეშით: „ძალიან ეჭვიანობენ აქ, რომ სიმონოსეკში აღძრულს მშვიდობიანობის ჩამოგდებას კეთილი ბოლო ექნეს. იაპონიის სამხედრო დასი, რომელსაც ამ ჟამად პოლიტიკაში დიდი ხმა აქვს, თხოულობს ომი არ იქნას შეწყვეტილი, ვიდრე იაპონია სავსებით არ გაიმარჯვებს ჩინელებზედ. ამავე აზრისაა პარლამენტიც. მთავრობამ მომზადებულ ლაშქარში ახალი ჯარი გაგზავნა.“ შანჰაიდგან იუწყებიან: „იაპონიის სამხედრო გემები შანჰაიკუანსა, ტაკუსა და კიკუს ახლო გამოჩნდნენ; აქ ელიან ჯარის გადმოსხმას.“

**კალკუტა,** 10 მარტი. ჩიტრალიდგან იუწყებიან: „აქაური მცხოვრებნი ერთს ინგლისის რაზმს დაეცნენ, მოუკლეს სარდალი აფიცერი და რამდენიმე ჯარის-კაცი“.

**ნიუ იორკი,** 10 მარტი. ლამიდგან იუწყებიან: „სამის დღის ბრძოლის შემდეგ პოვსტანელებმა ქალაქი დაიპყრეს. პერუს რესპუბლიკის პრეზიდენტმა კაზერესმა მხარე დასტოვა. დროებითი მთავრობა შესდგა.“

პეტერბურგისბირჟა, 17 თებერვალი

| | მყიდველისა. | გამყიდველისა. | გაყიდულისა. |
|---|---|---|---|
| | მან. კ. | მან. კ. | მან. კ. |
| ხუთ-მანეთიანი ოქრო . | 7,40 | — „ | 7,42 |
| 5% მომგებიანი გირავნობის ფურცლები სახელმწიფო სათავად აზნაურო ბანკისა . . . . | 211 „ | — „ | |
| 4½% გირავნობის ფურცლები იმავე ბანკისა. . . . | 101¾ | — „ | — „ |
| 6% ფურცლები ქუთაისის სათავად-აზნაურ. ბანკისა. . . | — „ | — „ | 101 |
| 5% იმავე ბანკისა. . | — „ | — „ | 99½ |
| 6% ტფილისის სათავად-აზნაურო ბანკისა . . . . | — „ | — „ | 101 |
| 5% იმავე ბანკისა . | — „ | — „ | 99½ |
| 5% ობლიგაც. ტფილისს ქალაქის საკრედიტო საზოგადოებისა | 93¾ | — „ | — „ |


# განცხადებანი

პირველი კერძო სამკურნალო
ექიმის ნავასარდიანისა
(კუკიაში, კარანცოვის ძეგლის პირდაპირ)

ავადმყოფთ იღებენ ექიმნი ყოველდღე, კვირა დღეებს გარდა.

დილაობით:

ბ. ა. ნავასარდიანი, 11—12 საათამდე, ვისაც სჭირს სნეულებანი: სახირურგიო, ვენერიული და სიფილისი.

ვ. მ. ჩიქოვანი, 9—10 საათ. სნეულებანი: თვალისა, შინაგანი და ნერვებისა.

დ. გ. რუდკოვსკი, 10—11 საათ. სნეულებანი: შინაგანი, ბავშვებისა და დედათა სქესისა.

ექიმი მ. ტურბოვიჩი. ქალი ა. 11—12 საათ. სნეულებანი: დედათა სქესისა.

ი. ფ. ზრონცასევიჩი. 12—1 საათ. სნეულებანი: ყურისა, ყელისა, ცხვირის და გულ-მკერდისა.

ა. ზ. კარაპეტიანცი, 1—1½ საათ. სნეულებანი: შინაგანი და ბავშვებისა.

საღამოობით:

ა. გ. გურკო, 6—7 საათ. სნეულებანი: სიფილისი, ვენერიული, შინაგანი და კანისა.

ბ. ა. ნავასარდიანი, 7—7½ საათამდის.

ა. გ. გურკო. გამოიკვლევს ქიმიურად და მიკროსკოპიულად შარდს, ნახველს, სისხლს, რძეს და სხვ.

რჩევა-დარიგების და რეცეპტის დაწერის ფასი ათი შაური; ფასი კონსილიუმის და ოპერაციებისათვის—მორიგებით. სამკურნალოს საწოლიცა აქვს ავადმყოფთათვის.

დირექტორი სამკურნალოსი დოქტორი მედიცინისა ნავასარდიანი.

(857—1468)

**უმაღლესად** დამტკიცებული 20 მარტს 1881 წ.

# დამზღვევი საზოგადოება „როსსია“

ს.-პეტერბურგი, Большая Морская, 37.

მთლად განაღდებული დასაფუძნებელი თანხა აქვს 20.500,000 მან

საზოგადოების სარგებლიანი ქაღალდები სახელმწიფო ბანკში ინახება.

საზოგადოების მოქმედება.

**დაზღვევა სიცოცხლისა**

მცირე პრემიით (შესატანი ფული) და მეტად სასარგებლო პირობით, სახელდობრ:

1. დაზღვევა სიკვდილამდე (სანუგეშოდ ოჯახისა და სხვა);
2. დაზღვევა ვადიანი (სიბერის დროს გამოსატანი თანხა, სამზითვოდ და სხ.);
3. დაზღვევა შემოსავლისა (პენსია მოხუცებულთათვის, ქვრივთათვის, სტიპენდია ყრმათათვის და სხ.)

მოარჩენელი სიკვდილი ვერ დააბრკოლებს დაზღვეულის თანხის მიცემას;

**დაზღვევა უბედურ შემთხვევისაგან**

როგორც კერძო პირისა, ისე საერთო, სამსახურის, ქარხნებში მოსამსახურეთა და მომუშავეთა;

**დაზღვევა ცეცხლისაგან**

ყოველ გვარ უძრავისა და მოძრავის ქონებისა;

**დაზღვევა ტრანსპორტებისა,**

ზღვით, მდინარით, თუ ხმელეთით გაგზავნილ საქონლისა.

განცხადება დაზღვევისათვის და ყოველ გვარი ცნობები ეგზავნება უმთავრესს მმართველობას, (ბოლშაია მორსკაია, საკუთ. სახლი, № 37), კავკასიის ოლქის სამმართველოში, ტფილისს (სოლოლაკი, სერგიევის ქუჩა, სახლი № 3) და საზოგადოების აგენტებს იმპერიის ყველა ქალაქებში.

უბედურ შემთხვევისაგან დამზღვევი ბილეთები მგზავრებს (როგორც რკინის გზაზედ, ისე გემებით მიმავალთ) მიეცემათ როგორც რკინის გზის სადგურებზედ: ტფილისში, ბაქოს და ბათუმს, დ გემების ნავთ-სადგურებზედ.

50—6—12